



საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 69/00

„27“ დეკემბერი 2010

ქ. თბილისი

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“
თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის
და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

თორნიკე შერმადინი
„27“ დეკემბერი 2010 წელი

ეგზ. N2

საქართველოს კონტროლის პალატა

ფინანსური აუდიტის აქტი
(01.01.2008-01.01.2010)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

სარჩევი

შესავალი.....	2
აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	3
1. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა დადგენილ ნორმებთან	4
2. საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა და კანონიერება	8
3. სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა კანონმდებლობასთან	14
4. სახელმწიფო ქონების განკარგვის მდგომარეობა	19
5. წინა პერიოდის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაწეული საქმიანობა.....	21

შესავალი

აუდიტის ფორმა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2008 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე პერიოდის ფინანსური აუდიტი.

აუდიტის საფუძველი: საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 7 მაისის N53/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტის დასახელება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი. თბილისი, გ. გულუას ქ. N 8.

აუდიტორები და მათ მიერ შესრულებული სამუშაოები: უფროსი აუდიტორი გია ნადარეიშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი), აუდიტორები ნესტან ჯანელიძე და თენგიზ გურასაშვილი, აუდიტორ-ასისტენტი მაია მუჯირიშვილი. აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილი იქნა ერთობლივად.

აუდიტის პერიოდი: 2008 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა: აუდიტი დაიწყო 2010 წლის 10 მაისს და დამთავრდა 2010 წლის 18 ივნისს.

აუდიტის მეთოდი – წარმოდგენილი ბალანსების, ინფორმაციის, ცნობებისა და დოკუმენტების შესწავლა-ანალიზი, გამოკითხვისა და გასაუბრების მეთოდი.

შემოკლებანი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - სამინისტრო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი - ცენტრალური აპარატი

საქართველოს კანონები „საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ და „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ - ბიუჯეტის კანონი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო

41

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულება - დებულება

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატს, როგორც საბალანსო ერთეულს წარმოადგენს შსს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო.

საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო ახორციელებს სამინისტროს დანაყოფების ფინანსურ უზრუნველყოფას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს სამინისტროს საფინანსო საქმიანობის სწორად წარმართვას. შეიმუშავებს სამინისტროს ყოველი მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტს და უზრუნველყოფს შესაბამის ინსტანციებში მის დროულ წარდგენას. შექმნილი ფინანსური სიტუაციიდან გამომდინარე უზრუნველყოფს საფინანსო დოკუმენტაციის მომზადებას საბიუჯეტო ასიგნებათა გადანაწილების ან გაზრდის თაობაზე, ახორციელებს საბუღალტრო აღრიცხვის სწორ ორგანიზაციას, სამინისტროს თანამშრომელთა ხელფასების დარიცხვას და გაცემას. უზრუნველყოფს საბუღალტრო ანგარიშების შედგენას და შესაბამის ინსტანციებში დაწესებულ ვადებში წარდგენას. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებს. ახორციელებს სამინისტროს ძირითადი საშუალებების, ფულადი სახსრებისა და სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის ჩატარების ორგანიზებას კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. ახორციელებს კონტროლს სახსრების სწორად და ეკონომიურად ხარჯვაზე და მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე. ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

1. ცენტრალურ აპარატსა და შპს „გორბი-გელაპის საერთაშორისო ცენტრს“ შორის 2008 წლის 24 იანვარს გაფორმებული N114 ხელშეკრულების (თანხით 125,9 ათასი ლარი) ხარჯთაღრიცხვაში საშემოსავლო გადასახადის არასწორად გაანგარიშების გამო გადახდილია 15443,25 ლარით მეტი.

2. 2008 წლის 10 ნოემბერს შსს ცენტრალურ აპარატსა და შპს „ევროპლანტ ჯორჯიას“ შორის გაფორმებული N713 ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებულია 5 ერთეული ხე-მცენარის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით 10030 ლარის ოდენობით (რომლებიც არ დარგულა და დასაწყობებული იქნა). აღნიშნული ნერგები ბუღალტრულად ცალკე არ არის ასახული და ინახება მომწოდებელთან.

3. 2008 წლის 27 ოქტომბრის N664 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „გესკოს“ მიერ წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოთა აქტში ჩამოთვლილი მასალების თვითღირებულების რეალობის შემოწმების მიზნით აუდიტის ჯგუფის მიერ

შემსყიდველი ორგანიზაციის საშუალებით შპს „გესკოსგან“ მოთხოვნილი იქნა ინვოისები და საბაჟო დეკლარაციები. დეკლარაციაში მითითებული ღირებულების შესრულებულ სამუშაოთა აქტში ნაჩვენებ ღირებულებასთან შედარების შედეგად გაირკვა, რომ მხოლოდ დამონტაჟებული ლედური ტიპის სანათებში შემსრულებლის მიერ მიღებული შესაძლო მოგება შეადგენს დაახლოებით 668,0 ათას ლარს. მაშინ, როდესაც შესრულებულ სამუშაოთა აქტში მთლიანი მოგება ფორმალურად ჩადებულია 64,0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული საკითხი მოითხოვს დამატებით შესწავლას შპს „გესკოში“, რაც სცილდება აუდიტის ჯგუფის კომპეტენციას. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ სამინისტროს (შემსყიდველს) არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე არ გააჩნია იურიდიული ბერკეტები წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების მიხედვით აკონტროლოს სამუშაოების და მომსახურების რეალური თვითღირებულება.

4. ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც ტენდერში გამარჯვების საფუძველზე სამუშაოთა შემსრულებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანით გაზრდილი იყო ხელშეკრულების საერთო ღირებულებები.

5. ცალკეულ შემთხვევებში წინასწარი გადახდების დროს წარმოდგენილი არ არის (განახლებული არ არის) წინასწარი გადახდის გარანტიები.

ძირითადი ტექსტი

1. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა დადგენილ ნორმებთან

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საბუღალტრო აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად. ხოლო ფინანსური ანგარიშგების შედგენას აწარმოებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების (ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ) შესაბამისად.

აუდიტის პერიოდის საბალანსო ანგარიშების ნაშთები შემდეგნაირად გამოიყურება:

		ათასი ლარი		
საბალანსო ანგარიშები	შენიშვნა	01.01.2008წ.	01.01.2009წ.	01.01.2010წ.
ფინანსური და არაფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები				
ნაღდი ფული ეროვნ. ვალუტაში	1	9,3	0,1	9,4
სხვა ანგარიშები ხაზინაში	1	227,2	-	-
მოთხოვნ. მიწოდ. და მომსახურ.	2	76402,3	201925,4	13662,0
მოთხოვნები მივლინებით	2	40,6	26,7	49,7
მოთხოვნები დანაკლისებით	2	227,1	4542,3	4636,6
ანგარიშვალდ. პირების სხვა მოთხ.	2	6104,4	11639,1	10851,2
შენობა-ნაგებობები	3	12861,0	21361,1	16812,7

მანქანა დანადგარები და მოწყობ.	3	64906,7	44055,5	13938,7
სხვა ძირითადი აქტივები	3	11330,0	26,9	53,2
დაუმთავრებელი მშენებლობა	3	-	43440,0	-
სხვა დანარჩენი ძირით. აქტივები	3	-	39254,9	47218,9
სხვა მატერიალური მარაგები	3	21373,6	31491,2	77779,1
არაწარმოებული აქტივები	3	-	591,5	671,8
სულ აქტივები		193482,4	398354,8	185683,2
ვალდებულებები და კაპიტალი				
ვალდებულ. მოწოდ. და მომსახ.	2	3329,7	3212,6	3202,8
გადასახდ. საშემოსავლო გადასახ.	2	448,1	447,0	447,0
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებ.	2	511,3	510,0	510,0
გადასახდ. ხელფ. შტატით მომუშ.	2	7790,9	7782,9	7711,2
ვალდებულებები მივლინებით	2	58,6	48,1	48,5
სოციალ. დაზღვ. ანარიცხები	2	10,6	10,6	10,6
სოციალ. დახმარ. ვალდებულ.	2	-	-	0,4
სასამართლოს და სხვა დაკავებები	2	9,1	9,1	9,1
ვალდებულ. დეპონენტ. მიმართ	2	129,2	127,8	127,8
სხვა დანარჩ. კრედიტ. დავალიან.	2	253,3	253,3	253,3
წმინდა ღირებულება	4	180941,5	385953,2	173362,5
სულ კაპიტალი და ვალდებულ.		193482,4	398354,8	185683,2
საცნობარო მუხლები:				
პასუხსაგებ შენახვ. მატ. ფასეულ.	5	197,6	152,9	125,8
გადახდისუუნარო დებიტორები	5	-	-	69,8
ხარჯ-ში ჩამოწ. მარაგები ექსპლ-ში	5	10362,9	3271,9	4419,1
ამორტიზირ. ძირითადი აქტივები	5	-	-	5163,0
კადაგადაცილ. დავალიანებები	5	-	12401,5	12320,7

შენიშვნა 1

ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში წარმოადგენს სალაროს ნაშთს. სალაროდან წარმოებდა ხარჯების გაწევა საპროტოკოლო ღონისძიებებისთვის, მივლინებებისთვის და სხვა ხარჯების მუხლით. ნაშთი ანგარიშზე „სხვა ანგარიშები ხაზინაში“ წარმოადგენდა საგრანტო დაფინანსების წინა წლის ნაშთს, რომელიც 2008 წლიდან გადაეცა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტს.

შენიშვნა 2

2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ცენტრალურ აპარატს ერიცხებოდა დებიტორული დავალიანებები სულ 82774,5 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის ანგარიშზე N1410 (მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან) – 76402,3 ათასი ლარი, ანგარიშზე N1421 (მოთხოვნები მივლინებით) – 40,6 ათასი ლარი, ანგარიშზე N1422 (მოთხოვნები დანაკლისებით) – 227,1 ათასი ლარი, ანგარიშზე N1423 (ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები) – 6104,5 ათასი ლარი.

2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხებოდა დებიტორული დავალიანებები სულ 218133,6 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის ანგარიშზე N1410 (მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან) – 201925,4 ათასი ლარი, ანგარიშზე N1421 (მოთხოვნები მივლინებით) – 26,7 ათასი ლარი, ანგარიშზე N1422 (მოთხოვნები დანაკლისებით) – 4542,3 ათასი ლარი, ანგარიშზე N1423 (ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები) – 11639,1 ათასი ლარი.

2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხებოდა დებიტორული დავალიანებები სულ 29199,4 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის ანგარიშზე N1410 (მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან) – 13662,0 ათასი ლარი, ანგარიშზე N1421 (მოთხოვნები მივლინებით) – 49,7 ათასი ლარი, ანგარიშზე N1422 (მოთხოვნები

დანაკლისებით) – 4636,6 ათასი ლარი, ანგარიშზე N1423 (ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები) – 10851,2 ათასი ლარი.

მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი მოთხოვნების უდიდესი ნაწილი წარმოადგენს გრძელვადიანი ხელშეკრულებების საფუძველზე წინასწარი გადახდებით წარმოშობილ დავალიანებებს. თუმცა არსებობს 1997-2004 წლებში წარმოშობილი დავალიანებებიც, რომელთა რეალობის დადგენისა და საქართველოს კონტროლის პალატის მიერ წინა შემოწმებით გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით შს მინისტრის 2009 წლის 27 ივლისის N950 ბრძანებით შექმნილია დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა შემსწავლელი კომისია. აღნიშნული დავალიანებებიდან აღსანიშნავია მოთხოვნები საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ. კერძოდ, იუსტიციის სამინისტროს მიმართ 23,8 ათასი ლარი და საფელდეგერო სამსახურის (რომელიც ადრე ცენტრალური აპარატის შემადგენლობაში შედიოდა) მოთხოვნები სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ 177,8 ათასი ლარი.

დანაკლისებით მოთხოვნების ზრდის მიზეზს წარმოადგენს 2008 წლის მოვლენების დროს ქონების განადგურება და დაკარგვა. შს მინისტრის 2008 წლის 21 აგვისტოს N916 და 26 აგვისტოს N097 ბრძანებებით შექმნილია აღნიშნულ საკითხთა შემსწავლელი კომისია.

კრედიტორულ დავალიანებათა შესწავლით გაირკვა, რომ 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ცენტრალურ აპარატს ერიცხებოდა დავალიანება სულ 12540,8 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის ანგარიშზე N3210 (ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან) – 3329,7 ათასი ლარი, ანგარიშზე N3210 (გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის) – 7790,9 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი სახის დავალიანება - 1420,2 ათასი ლარი.

2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ცენტრალურ აპარატს ერიცხებოდა დავალიანება სულ 12401,5 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის ანგარიშზე N3210 (ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან) – 3212,6 ათასი ლარი, ანგარიშზე N3210 (გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის) – 7782,9 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი სახის დავალიანება - 1406,0 ათასი ლარი.

2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ცენტრალურ აპარატს ერიცხებოდა დავალიანება სულ 12320,7 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის ანგარიშზე N3210 (ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან) – 3202,8 ათასი ლარი, ანგარიშზე N3210 (გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის) – 7711,2 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი სახის დავალიანება - 1406,7 ათასი ლარი.

შენიშვნა 3

ცენტრალურ აპარატში საბუღალტრო აღრიცხვა ნაწარმოებია კანონმდებლობის დაცვით. ყველა ოპერაცია ასახულია დროულად და სწორად. ბუღალტრული გატარებები შეესაბამება ინსტრუქციის მოთხოვნებს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ბრძანების მოთხოვნების დაცვით. თუმცა გამოვლინდა გარკვეული სახის უზუსტობა. კერძოდ, შპს „ევროპლანტ ჯორჯიას“ მიერ 2008-2009 წლებში შესრულებული შსს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიის გამწვანების სამუშაოები (გადახდილი არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით, სულ 634,0 ათასი ლარი) ბალანსში აისახა ანგარიშზე

N2113 - სხვა ნაგებობები, ნაცვლად ანგარიშისა N2134 (ცვლილების შეტანის შემდეგ ანგარიში N2150) - სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები.¹

არაფინანსური აქტივების ნაშთები ასახულია ზემოთმოცემულ ცხრილში, ხოლო მათი მოძრაობა განხილულია აუდიტის აქტის მე-4 საკითხში.

შენიშვნა 4

აუდიტის პერიოდში ცენტრალური აპარატის წმინდა ღირებულების ცვლილება შემდეგნაირად გამოიყურება:

	ათასი ლარი	
	2008 წელი	2009 წელი
ნაშთი - 01.01.2008	180941,5	
ნაშთი - 01.01.2009		385953,2
ზრდა		
მიღებული დაფინანსება	343890,4	187560,4
გრანტები	-	1739,9
სხვა შემოსავლები	277,3	77,0
უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი აქტივები	23669,1	11171,5
უსასყიდლოდ მიღებული მატერიალური მარაგები	539,2	1289,0
უსასყიდლოდ მიღებული არაწარმოებული აქტივები(მიწა)	1414,7	2452,9
ფინანსური აქტივები	0,1	-
სხვა ეკონომიკური ნაკადები	21472,7	8657,5
სულ:	391263,5	212948,1
შემცირება		
ფაქტობრივი ხარჯი	69149,9	69719,4
უსასყიდლოდ გადაცემული ძირითადი აქტივები	89147,8	317610,8
უსასყიდლოდ გადაცემული მატერიალური მარაგები	26428,1	30107,9
უსასყიდლოდ გადაცემული არაწარმ. აქტივები(მიწა)	822,7	2373,4
ფინანსური აქტივები	227,2	-
სხვა ეკონომიკური ნაკადები	476,1	5643,9
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	-	83,4
სულ:	186251,8	425538,8
წმინდა ზრდა (კლება) პერიოდის განმავლობაში	205011,7	-212590,7
ნაშთი-01.01.2010 სულ წმინდა ღირებულება:		173362,5

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება და გაწეული ფაქტობრივი ხარჯები განხილულია აუდიტის აქტის მეორე საკითხში. შემოსავლები შედგება გრანტებისგან (სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებისგან მიღებული აქტივები) და სხვა შემოსავლებისგან.

აქტივების უსასყიდლოდ მიღება-გაცემაში ასახულია იმავე დონის სახელმწიფო ერთეულისგან უსასყიდლოდ მიღებული და მასზე გადაცემული ძირითადი აქტივები და მატერიალური მარაგები.

სხვა ეკონომიკურ ნაკადებში ასახულია სავალუტო კურსის ცვლილებით მიღებული მოგება-ზარალი, ინვენტარიზაციების შედეგად გამოვლენილი დანაკლისები და ზედმეტობები, ნაშთების ანგარიშიდან ანგარიშზე გადატანა და სხვა დანარჩენი მოცულობითი ცვლილებები.

ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებებში ასახულია მომწოდებლის მიერ დაბრუნებული და ბიუჯეტში გადარიცხული თანხა.

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 22-ე მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნა.

რეკომენდაცია

რადგან საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ მოთხოვნების დაფარვის წყაროც და მიმღებიც არის სახელმწიფო ბიუჯეტი, მიზანშეწონილი იქნება დებიტორულ საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეთანხმებით დაისვას საკითხი საქართველოს მთავრობის წინაშე წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან თანხების გამოყოფის შესახებ (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 30-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების საფუძველზე).

2. საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა და კანონიერება

„2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განესაზღვრა წლიური ასიგნება 600000,0 ათასი ლარის ოდენობით. წლიურ ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ საბოლოო დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 741780,2 ათასი ლარი. მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების საწყისმა დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 506664,6 ათასი ლარი, ხოლო საბოლოომ - 648421,9 ათასი ლარი. ბიუჯეტის კანონით შსს ორგანოებზე დამტკიცებული მთლიანი ასიგნების განაწილება მასში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებზე (მათ შორის ცენტრალურ აპარატზე) წარმოებს შსს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს მიერ.

შსს ცენტრალური აპარატის 2008 წლის ბიუჯეტი კვარტალურად შემდეგნაირად იქნა განწერილი:

2008 წელი	პირველი კვარტალი	მეორე კვარტალი	მესამე კვარტალი	მეოთხე კვარტალი	ათასი ლარი
					წლიური
დამტკიცებული გეგმით	58571,0	35648,2	80142,7	208837,9	383199,8
დაზუსტებული გეგმით	39593,3	49497,3	99892,7	156960,7	345944,0

სამინისტროს ცენტრალური აპარატის გეგმის დაზუსტება გამოწვეულია როგორც ასიგნებათა გადანაწილებით, ასევე საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით.

2008 წელს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით შემდეგნაირად გამოიყურება:

2008 წ.	ათასი ლარი				
საფუძველი	N	თარიღი	თანხა	ათვისება	დანიშნულება
მთავრობის განკარგულება	47	08.02 .08წ.	5,8	5,8	სახ. ჯილდოებისთვის.
მთავრობის განკარგულება	122	13.03 .08წ.	3,4	3,4	სახ. ჯილდოებისთვის.
მთავრობის განკარგულება	256	24.04 .08წ.	1,0	1,0	სახ. ჯილდოებისთვის.
მთავრობის განკარგულება	365	04.06 .08წ.	7,0	7,0	სახ. ჯილდოებისთვის.
მთავრობის განკარგულება	493	30.07.08წ.	8,2	8,2	სახ. ჯილდოებისთვის.
მთავრობის განკარგულება	569	08.09.08წ.	14,2	14,2	სახ. ჯილდოებისთვის.
მთავრობის განკარგულება	646	08.10.08წ.	7,4	7,4	სახ. ჯილდოებისთვის.
მთავრობის განკარგულება	748	12.11.08წ.	106,2	106,2	სახ. ჯილდოებისთვის.
მთავრობის განკარგულება	862	10.12.08წ.	43,6	43,6	სახ. ჯილდოებისთვის.
მთავრობის განკარგულება	898	23.12 .08წ.	18,4	18,4	სახ. ჯილდოებისთვის.
ჯამი			215,2	215,2	

სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვა ფონდებიდან 2008 წელს სამინისტროს ცენტრალურ აპარატს თანხები არ მიუღია. 2008 წელს გრანტები (ფულადი და სასაქონლო) მიღებული არ აქვს.

შსს ცენტრალური აპარატის 2008 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება:

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის	სხვაობა დაზუსტებულ გეგმასა და გადახდას შორის	ხვედრითი წილი მთლიან საკასოსთან (%)
სულ გადასახდელები	345944,0	343890,4	69149,9	-274740,5	2053,6	100
ხარჯები	131998,5	130005,2	69149,9	-60855,3	1993,3	37,8
შრომის ანაზღაურება	21230,5	19294,5	19317,0	22,5	1936,0	5,6
საქონელი და მომსახურება	106337,4	106280,9	39338,4	-66942,5	56,5	30,9
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	5968,0	5968,0	-	-
სუბსიდიები	-	-	-	-	-	-
გრანტები	87,0	86,3	86,3	-	0,7	0.02
სოციალური უზრუნველყოფა	739,1	739,1	739,3	0,2	-	0,21
სხვა ხარჯები	3604,4	3604,4	3700,9	96,5	-	1,05
არაფინანსური აქტივების ზრდა	213945,5	213885,2	-	-213885,2	60,3	62,20

„2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამინისტროს განესაზღვრა წლიური ასიგნება 568000,0 ათასი ლარის ოდენობით. წლიურ ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ საბოლოო დამტკიცებულმა

გეგმამ შეადგინა 573814,4 ათასი ლარი. მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების საწყისმა დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 484771,8 ათასი ლარი, ხოლო საბოლოომ - 490557,3 ათასი ლარი (სადაც გათვალისწინებულია შსს ცენტრალური აპარატის ბიუჯეტი).

შსს ცენტრალური აპარატის 2009 წლის ბიუჯეტი კვარტალურად შემდეგნაირად იქნა განწერილი:

2009 წელი	პირველი კვარტალი	მეორე კვარტალი	მესამე კვარტალი	მეოთხე კვარტალი	ათასი ლარი
					წლიური
დამტკიცებული გეგმით	59759,9	44607,6	46158,6	52283,4	202809,5
დაზუსტებული გეგმით	93611,5	37644,3	25731,8	30572,8	187560,4

გეგმის დაზუსტება გამოწვეულია როგორც ასიგნებათა გადანაწილებით, ასევე საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფით.

2009 წლის განმავლობაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან თანხა გამოეყო მხოლოდ ერთხელ. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 10 თებერვლის N76 განკარგულებით საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისთვის დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების გასაცემად სამინისტროს გამოეყო 13,8 ათასი ლარი. გაწეულია 13,8 ათასი ლარის საკასო და ფაქტობრივი ხარჯები.

სხვა ფონდებიდან 2009 წელს სამინისტროს ცენტრალურ აპარატს თანხები არ გამოეყოფია. 2009 წელს გრანტები (ფულადი და სასაქონლო) მიღებული არ აქვს.

შსს ცენტრალური აპარატის 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება:

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის	სხვაობა დაზუსტებულ გეგმასა და გადახდას შორის	ხვედრითი წილი მთლიან საკასოსთან (%)
სულ გადასახდელები	187560.4	187560.4	69719.4	-117841.0	-	100
ხარჯები	100013.9	100013.9	69719.4	-30294.5	-	53.3
შრომის ანაზღაურება	18960.2	18960.2	18974.4	14.2	-	10.1
საქონელი და მომსახურება	75352	75352	36890.6	-38461.4	-	40.2
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	2802.9	2802.9	-	-
სუბსიდიები	-	-	-	-	-	-
გრანტები	93.3	93.3	3131.4	3038.1	-	0.05

სოციალური						
უზრუნველყოფა	319,5	319,5	319,5	-	-	0,2
სხვა ხარჯები	5289	5289	7600,6	2311,6	-	2,8
არაფინანსური						
აქტივების ზრდა	87527,4	87527,4	-	-87527,4	-	46,7
ვალდებულებების						
კლება	19,1	19,1	-	19,1	-	0,01

შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურების მუხლით შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატის მიერ 2008 წლის განმავლობაში სულ გაწეულია 19294,5 ათასი ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის: თანამდებობრივი სარგო 14571,9 ათასი ლარი, წოდებრივი სარგო 401,4 ათასი ლარი, პრემია 2541,5 ათასი ლარი, დანამატი 1757,2 ათასი ლარი, კომპენსაცია 22,5 ათასი ლარი. 2009 წლის განმავლობაში სულ გაწეულია 18960,2 ათასი ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის: თანამდებობრივი სარგო 14530,2 ათასი ლარი, წოდებრივი სარგო 372,6 ათასი ლარი, პრემია 2306,9 ათასი ლარი, დანამატი 1725,0 ათასი ლარი, კომპენსაცია 25,5 ათასი ლარი. უმაღლესი საშტატო სახელფასო განაკვეთი (მინისტრის) შეადგენს 3540 ლარს. უმცირესი ხელფასი შეადგენს 310 ლარს. ერთ პიროვნებაზე 2008 წლის განმავლობაში დარიცხული პრემიის ჯამური მაქსიმალური ოდენობაა 64,3 ათასი ლარი. 2009 წლის განმავლობაში ერთ პიროვნებაზე დარიცხული პრემიის ჯამური მაქსიმალური ოდენობაა 63,8 ათასი ლარი.

საქონელი და მომსახურება

საქონელი და მომსახურების მუხლით შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატის მიერ 2008 წლის განმავლობაში სულ გაწეულია 106280,9 ათასი ლარის საკასო ხარჯი. ხოლო 2009 წლის განმავლობაში გაწეულია 75352,0 ათასი ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 2008 წელს გაწეულია 961,8 ათასი ლარის ხარჯი, ხოლო 2009 წელს გაწეულია 1053,1 ათასი ლარის ხარჯი.
- მივლინებებზე 2008 წელს გაწეულია 650,9 ათასი ლარის ხარჯი, ხოლო 2009 წელს - 761,4 ათასი ლარის ხარჯი.
- ოფისის ხარჯების მუხლით 2008 წელს გაწეულია 12029,7 ათასი ლარის ხარჯი (მათ შორის მობილური სატელეფონო კავშირი 2046,0 ათასი ლარი, მიმდინარე რემონტის ხარჯები 3897,2 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი სახის ხარჯები 6086,5 ათასი ლარი), ხოლო 2009 წელს გაწეულია 9762,7 ათასი ლარის ხარჯი (მათ შორის ელექტროენერგია 1623,4 ათასი ლარი, წყალი 1228,9 ათასი ლარი, ბუნებრივი აირი 577,1 ათასი ლარი, მობილური სატელეფონო კავშირი 2559,0 ათასი ლარი, სატელეფონო და კავშირგაბმულობის სხვა ხარჯები 138,7 ათასი ლარი, მიმდინარე რემონტის ხარჯები 1003,9 ათასი ლარი, ავეჯი 486,2 ათასი ლარი, საკანცელარიო და სხვა დანარჩენი სახის ხარჯები 2145,5 ათასი ლარი).
- წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით 2008 წელს გაწეულია 569,0 ათასი ლარის ხარჯი, ხოლო 2009 წელს გაწეულია 452,9 ათასი ლარის ხარჯი.
- კვების ხარჯების მუხლით 2008 წელს გაწეულია 2116,5 ათასი ლარის ხარჯი, ხოლო 2009 წელს - 2420,3 ათასი ლარის ხარჯი.
- სამედიცინო ხარჯები 2008 წელს გაწეულია 3,3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2009 წელს - 4,3 ათასი ლარის ოდენობით.

- რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები 2008 წელს შეადგენს 8000,9 ათას ლარს, ხოლო 2009 წელს შეადგენს 3676,6 ათას ლარს.

- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებმა 2008 წელს შეადგინა 19925,6 ათასი ლარი (მათ შორის საწვავი 17109,7 ათასი ლარი, სათადარიგო ნაწილები 960,0 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი ხარჯები 1856,0 ათასი ლარი), ხოლო 2009 წელს შეადგინა 31466,2 ათასი ლარი (მათ შორის საწვავი 24664,4 ათასი ლარი, მსუბუქი ავტომანქანების რემონტი 1377,2 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი ხარჯები 5424,6 ათასი ლარი). სამინისტროს საჭიროებისთვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ცენტრალიზებულად სამინისტროს ცენტრალური აპარატის ასიგნებიდან. შეძენის შემდგომ საწვავის ტალონების განაწილება სტრუქტურულ ერთეულებზე წარმოებს მინისტრის მიერ დამტკიცებული ყოველთვიური ლიმიტების მიხედვით. სამინისტროს ცენტრალურ აპარატში თითოეულ მსუბუქ ავტომანქანაზე საწვავის ლიმიტები დადგენილი არ არის და ხარჯვა წარმოებს საჭიროებიდან გამომდინარე. ცენტრალურ აპარატში 2008 წლის 1 იანვრისთვის ნაშთად ირიცხებოდა 2461,4 ათასი ლიტრი ბენზინის და 777,3 ათასი ლიტრი დიზელის საწვავის ტალონი. წლის განმავლობაში სულ მიღებულია 7391,6 ათასი ლიტრი ბენზინის და 2665,9 ათასი ლიტრი დიზელის საწვავის ტალონი. სტრუქტურულ ერთეულებზე გადაცემულია 8903,4 ათასი ლიტრი ბენზინის და 2796,2 ათასი ლიტრი დიზელის საწვავის ტალონი. 2009 წლის 1 იანვრისთვის ნაშთად ირიცხებოდა 949,6 ათასი ლიტრი ბენზინის და 647,0 ათასი ლიტრი დიზელის საწვავის ტალონი. წლის განმავლობაში სულ მიღებულია 16980,8 ათასი ლიტრი ბენზინის და 5960,0 ათასი ლიტრი დიზელის საწვავის ტალონი. სტრუქტურულ ერთეულებზე გადაცემულია 13109,1 ათასი ლიტრი ბენზინის და 4224,1 ლიტრი დიზელის საწვავის ტალონი. 2010 წლის 1 იანვრისთვის ნაშთად ირიცხებოდა 4821,3 ათასი ლიტრი ბენზინის და 2382,9 ათასი ლიტრი დიზელის საწვავის ტალონი.

- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯები 2008 წელს გაწეულია 25180,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2009 წელს - 16118,8 ათასი ლარის ოდენობით.

აღნიშნული ქვემუხლით (2210) გაწეული ხარჯების შესწავლით გაირკვა, რომ ცენტრალურ აპარატსა და შპს „გორბი-გელაპის საერთაშორისო ცენტრს“ შორის 2008 წლის 24 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულება N114 თანხით 125,9 ათას ლარზე პოლიციის მიმართ მოსახლეობის აზრის შესწავლის მიზნით (რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის მეთოდოლოგიების გამოყენებით). ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ჰონორარის (ხელფასის) ჯამური ოდენობა შეადგენდა 52350 ლარს. ხარჯთაღრიცხვაში დამატებით ჩართული იყო საშემოსავლო გადასახადი თანხით 13087,5 ლარი მაშინ, როდესაც აღნიშნული გადასახადის ხარჯს ბუნებრივად მოიცავს ხელფასის ხარჯი. შპს „გორბი-გელაპის საერთაშორისო ცენტრის“ მთავარი ბუღალტრის თ. ჯოლოხავას ახსნა-განმარტების და წარმოდგენილი ხელფასის უწყისების მიხედვით გაირკვა, რომ ხარჯთაღრიცხვაში გაანგარიშებული შრომის ანაზღაურების თანხა (სულ 52350 ლარი) წარმოადგენს დარიცხულ ოდენობას და არა ხელზე გასაცემს. შესაბამისად ხარჯთაღრიცხვაში გაანგარიშებული საშემოსავლო გადასახადი ჩართული უნდა ყოფილიყო ხელფასში და ცალკე არ უნდა ყოფილიყო დამატებული. ზემოაღნიშნული შეცდომის გამო

ზედმეტად არის გადახდილი 15443,25 ლარი (დარიცხული დღგ-ს ჩათვლით - $13087,5 \cdot 1,18 = 15443,25$).

გრანტები

გრანტების მუხლით 2008 წელს გაწეულია 86,3 ათასი ლარის საკასო ხარჯი, ხოლო 2009 წელს - 93,3 ათასი ლარის საკასო ხარჯი, რაც მთლიანად წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციაზე გადარიცხულ საწევრო შენატანს.

სოციალური უზრუნველყოფა

აღნიშნული მუხლით 2008 წელს გაწეულია 739,1 ათასი ლარის საკასო ხარჯი (მათ შორის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული და დაჭრილი პოლიციელების კანონით გათვალისწინებული დახმარება 629,9 ათასი ლარი, საავადმყოფო ფურცელზე მყოფი თანამშრომლების სოციალური დახმარება 109,2 ათასი ლარი), ხოლო 2009 წელს - 319,5 ათასი ლარის საკასო ხარჯი (მათ შორის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული და დაჭრილი პოლიციელების კანონით გათვალისწინებული დახმარება 254,2 ათასი ლარი, საავადმყოფო ფურცელზე მყოფი თანამშრომლების სოციალური დახმარება 65,3 ათასი ლარი).

სხვა ხარჯები

სხვა ხარჯების მუხლით 2008 წელს გაწეულია 3604,5 ათასი ლარის საკასო ხარჯი (მათ შორის დაზღვევის ხარჯები 3210,8 ათასი ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები და მოსაკრებლები 167,8 ათასი ლარი, ფულადი ჯილდოები 225,9 ათასი ლარი), ხოლო 2009 წელს გაწეულია 5289,0 ათასი ლარის საკასო ხარჯი (მათ შორის დაზღვევის ხარჯები 5092,3 ათასი ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი მოსაკრებლები 93,6 ათასი ლარი, ფულადი ჯილდოები 91,8 ათასი ლარი, ზიანის ანაზღაურება 11,3 ათასი ლარი).

არაფინანსური აქტივების ზრდა

არაფინანსური აქტივების ზრდაზე 2008 წელს გაწეულია 213885,2 ათასი ლარის საკასო ხარჯი (მათ შორის არასაცხოვრებელი შენობები 55781,0 ათასი ლარი, სხვა ნაგებობები 2940,9 ათასი ლარი, სატრანსპორტო საშუალებები 104735,2 ათასი ლარი, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი 50001,6 ათასი ლარი, ლიცენზიები 7,5 ათასი ლარი, სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები 419,1 ათასი ლარი), ხოლო 2009 წელს 87527,4 ათასი ლარის საკასო ხარჯი (მათ შორის საცხოვრებელი შენობები 96,6 ათასი ლარი, არასაცხოვრებელი შენობები 5009,0 ათასი ლარი, სხვა ნაგებობები 1193,7 ათასი ლარი, სატრანსპორტო საშუალებები 54986,8 ათასი ლარი, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი 26059,1 ათასი ლარი, სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები 182,3 ათასი ლარი).

არაფინანსური აქტივების ზრდაზე გადახდების შემოწმებით გაირკვა, რომ 2008 წლის 10 ნოემბერს შსს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტსა და შპს „ევროპლანტ ჯორჯიას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება N713 შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის (კახეთის გზატკეცილი N38) მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალწლოვანი, მარადმწვანე ხეების ჩარგვისა და გასამაგრებელი სამუშაოების შესრულებაზე. სახელშეკრულებო

ღირებულებამ შეადგინა 133,5 ათასი ლარი. დეპარტამენტის მიერ მოთხოვნილ სამუშაოთა ჩამონათვალში ერთ-ერთ პუნქტად მითითებულია 48 ერთეული ხე-მცენარის (*Quercus ilex* 30-35 Cylidre shape cont.) ჩარგვა. ანგარიშ-ფაქტურებზე (ბზ-05 N1230494 და ბზ-05 N1230506) თანდართულ მიღება-ჩაბარების აქტების და შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალში (ფორმა N2-ების მიხედვით ორ ეტაპად) დაფიქსირებულია, რომ დარგულია 48 ერთეული ხე-მცენარე (*Photinia fraseri* "Red Robin"), ერთეულის ჩარგვის ღირებულება - 20 ლარი. ხოლო უშუალოდ ნერგების ღირებულების გაანგარიშებისას ერთეულების რაოდენობად დაფიქსირებულია 53 ერთეული (ერთეულის ფასი 1700 ლარი დღგ-ს გარეშე).

სამუშაოების მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირის გ. კოკოჩაშვილის სიტყვიერი ახსნა-განმარტების მიხედვით 5 ერთეული ხე-მცენარე დაასაწყობა მომწოდებელმა. ანაზღაურებულია 5 ერთეული ხე-მცენარის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით 10030 ლარის ოდენობით (რომლებიც არ დარგულა და დასაწყობებული იქნა). აღნიშნული ნერგები ბუღალტრულად ცალკე არ არის ასახული და ინახება მომწოდებელთან.

ვალდებულებების კლება

ვალდებულებების კლების მუხლით 2008 წელს გადახდები განხორციელებული არ არის. 2009 წელს გაწეულია 19,1 ათასი ლარის საკასო ხარჯი (საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 ივლისის N507 განკარგულების საფუძველზე დაიფარა 2008 წლის აგვისტოში შ.პ.ს „სოკარი“-ს მიერ საწვავის მოწოდებით წარმოშობილი დავალიანება).

რეკომენდაციები

მიღებული იქნას ზომები შპს „გორბი-გელაპის საერთაშორისო ცენტრზე“ (15443,25 ლარი) ზედმეტად გადახდილი თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დასაბრუნებლად.

მიღებული იქნას ზომები შპს „ევროპლანტ ჯორჯიას“ მიმართ, რათა განხორციელდეს ზემოაღნიშნული 5 ხე-მცენარის დანიშნულებისამებრ დარგვა (შეძენის მიზნებიდან გამომდინარე).

ხელშეკრულებების და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებისას ყურადღება მიექცეს მომწოდებლების მიერ წარმოდგენილ სამუშაოების და მომსახურების სახელშეკრულებო და ფაქტობრივი შესრულების ხარჯთაღრიცხვებს (შესრულებული სამუშაოების, გამოყენებული მასალების, გაწეული მომსახურების მოცულობების რეალობას, დარიცხული გადასახადების სისწორეს და მექანიკურ შეცდომებს).

3. სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა კანონმდებლობასთან

2008 წლის განმავლობაში შსს ცენტრალური აპარატის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით მომწოდებლებთან გაფორმებულია სულ 837 ხელშეკრულება („სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული შესყიდვების გარდა). მათ შორის 64 ხელშეკრულება გაფორმებულია მომწოდებლების ტენდერებში გამარჯვების საფუძველზე, 14 ხელშეკრულება გაფორმდა ფასთა კოტირების გზით,

ხოლო 759 ხელშეკრულება ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით. 2009 წლის განმავლობაში გაფორმებულია სულ 792 ხელშეკრულება. მათ შორის 48 ხელშეკრულება გაფორმებულია მომწოდებლების ტენდერებში გამარჯვების საფუძველზე, 7 ხელშეკრულება გაფორმდა ფასთა კოტირების გზით, ხოლო 737 ხელშეკრულება ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით. შესყიდვების განხორციელების შერჩევითი შემოწმებით გამოვლინდა შემდეგი:

ქ. თბილისში კახეთის გზატკეცილის 38-ე კმ-ზე არსებული შენობის შიდა და გარე სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში (ლოტი N1) სატენდერო დოკუმენტაცია გაიტანა რამდენიმე ორგანიზაციამ, ხოლო სატენდერო წინადადება წარმოადგინა მხოლოდ შპს „აქსმშენმა“. ტენდერში გამარჯვების საფუძველზე შპს „აქსმშენთან“ 2008 წლის 24 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება N480 თანხაზე 13778,5 ათასი ლარი. წარმოდგენილია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია 300,0 ათას ლარზე. შპს „აქსმშენის“ მიერ სატენდერო წინადადების სახით შედგენილ თავდაპირველ ხარჯთაღრიცხვაში არ იყო გათვალისწინებული რიგი სამუშაოებისა - მაგალითად, შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალის ფ. N2-ის მიხედვით N129-135 პოზიციები (მათ შორის შენობის სახურავის მოწყობა - 1025,9 ათასი ლარი, ხის შეკიდული ჭერი - 577,9 ათასი ლარი და ა.შ.). შედეგად საჭირო გახდა ახალი ხარჯთაღრიცხვის შედგენა და 2008 წლის 2 სექტემბრის შეთანხმების ოქმით N1 სამუშაოთა მოცულობის ზრდასთან დაკავშირებით გაიზარდა ხელშეკრულების საერთო ღირებულება 5303,5 ათასი ლარით და შეადგინა 19082,0 ათასი ლარი. აღნიშნული სახით ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას². ამასთან ერთად წარმოდგენილი არ არის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია გაზრდილ სახელშეკრულებო თანხაზე (მინიმუმ 2% - 381,6 ათასი ლარი). მიღება-ჩაბარების აქტის და შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალის ფ. N2-ის მიხედვით ობიექტის ღირებულებამ ფაქტობრივად შეადგინა 17841,3 ათასი ლარი. სხვაობამ ავანსად გადარიცხულ თანხას (19082,0 ათასი ლარი) და ფაქტობრივ ღირებულებას შორის შეადგინა 1240,7 ათასი ლარი. აღნიშნული დავალიანება დაბრუნებული არ არის სახელმწიფო ბიუჯეტში და მის საფუძველზე 2009 წლის 29 მაისის შეთანხმების ოქმით N2 ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომლითაც შპს „აქსმშენს“ დაევალა ავტოსამრეცხაოს და ადმინისტრაციული შენობის დაცვის ბლოკის მშენებლობის სამუშაოების შესრულება (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებებით 181,0 ათასი ლარი და 1059,7 ათასი ლარი). აღნიშნული შესყიდვები უნდა განხორციელებულიყო ტენდერის საშუალებით³. 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ცენტრალურ აპარატს ერიცხებოდა დებიტორული დავალიანება შპს „აქსმშენის“ მიმართ 1240,7 ათასი ლარის ოდენობით. დამატებითი სამუშაოების შესრულების ვადა შეთანხმების ოქმებით რამდენჯერმე გაიზარდა და საბოლოო მონაცემებით შეადგინა 2010 წლის 1 ივლისი. წინასწარი გადახდის გარანტიების ვადები ამოიწურა 2009 წლის 30 იანვარს და 1 მარტს. წარმოდგენილი არ არის განახლებული წინასწარი გადახდის გარანტიები.

ზემოაღნიშნული შენობის ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „თბილი სახლი“. შპს

² ზემოაღნიშნული დებულების 26-ე მუხლის მე-12 პუნქტის მოთხოვნას.

³ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნა.

„თბილი სახლის“ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება (შესასრულებელ სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა) არ შეესაბამებოდა რეალობას. კერძოდ, გაანგარიშებებში მასალების და მონტაჟის ღირებულებები არასწორად იყო დაჯამებული და საბოლოო სახარჯთაღრიცხვო ღირებულებად წარმოდგენილი იყო 2349,8 ათასი ლარი (ნაცვლად 2693,0 ათასი ლარისა), ანუ 343,2 ათასი ლარით ნაკლები. სატენდერო კომისიის მიერ არ მომხდარა სატენდერო წინადადებაში არსებული შეცდომების გამოვლენა⁴. სამინისტროსა და შპს „თბილ სახლს“ შორის 2008 წლის 24 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება N479 აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე თანხით 2349,8 ათასი ლარი. ამასთან ერთად ხარჯთაღრიცხვაში არ იყო გათვალისწინებული სამუშაოთა მოცულობა სრულყოფილად. ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებულ სამუშაოთა მოცულობის გაზრდის გამო 2008 წლის 10 სექტემბრის შეთანხმების ოქმით N1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება გაიზარდა 1709,9 ათასი ლარით და შეადგინა 4059,8 ათასი ლარი. სამუშაოთა შესრულების ვადად განისაზღვრა 2009 წლის 15 ოქტომბერი. აღნიშნული სახით ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ეწინააღმდეგება როგორც დებულების, ასევე ხელშეკრულების მოთხოვნებს⁵. წარმოდგენილი არ არის ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია გაზრდილ თანხაზე (მინიმუმ 81,2 ათასი ლარი). მიღება-ჩაბარების აქტზე თანდართულ შესრულებულ სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვაში (ფორმა N2) ჩართულია გაუშიფრავი დამხმარე მასალების ღირებულება (3%-4% ოდენობით) სულ 95,1 ათასი ლარის ოდენობით, მაშინ როდესაც სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვაში აღნიშნული ხარჯი გათვალისწინებული არ არის.

არის შემთხვევები როდესაც მიღება-ჩაბარების აქტების (ფორმა N2-ების) მიხედვით შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი მნიშვნელოვნად განსხვავდება სახელშეკრულებო მონაცემებისგან ისე, რომ ჯამური ღირებულებები გაზრდილი არ არის, მაგრამ არ არის შეტანილი ცვლილებები სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვებში. მაგალითად, ახალი საქვაბე დანადგარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე 2008 წლის 10 ივნისს შპს „ინდუსტრია-2-თან“ გაფორმებული N407 ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით არ იყო გათვალისწინებული ელექტროსამუშაოები. მიღება-ჩაბარების აქტზე თანდართული საბოლოო ფორმა N2-ის მიხედვით შესრულებული ელექტროსამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 5,3 ათასი ლარი. აღნიშნულთან დაკავშირებით არ არის შეტანილი ცვლილება ხელშეკრულებაში⁶. ამასთან ერთად შუალედურ და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტებში დაფიქსირებულ მონაცემებს შორის არის სხვაობები. კერძოდ, ანგარიშ-ფაქტურაზე ბზ-05 N882470 თანდართულ შუალედურ ფორმა N2-ში (საქვების მოწყობილობა - პოზიცია 11 და თბოპუნქტების მოწყობა მე-2 კორპუსში - პოზიცია 3) დაფიქსირებულია დიზელის ტუმბოს (1,5 ათასი ლარი) და საცირკულაციო ტუმბოების (2,4 ათასი ლარი) მონტაჟი. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტში აღნიშნული ტუმბოები დაფიქსირებული არ არის. პასუხისმგებელი პირის ვ. კველიშვილის ახსნა-განმარტების მიხედვით აღნიშნული ტუმბოების დაყენების საჭიროება აღარ წარმოიშვა და ამიტომ აღარ დამონტაჟდა.

⁴ დებულების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა.

⁵ დებულების 26-ე მუხლის მე-12 პუნქტის მოთხოვნა, ასევე ხელშეკრულების საერთო პირობების 11.3 პუნქტის მოთხოვნა.

⁶ ხელშეკრულების საერთო პირობების მე-11 პუნქტის მოთხოვნა.

დაფიქსირდა შემთხვევა როდესაც მიღება-ჩაბარების აქტების (ფორმა N2-ების) მიხედვით ერთეულის ფასები მნიშვნელოვნად განსხვავდება სახელშეკრულებო მონაცემებისგან. კერძოდ, მშენებარე შსს ადმინისტრაციული შენობის ფასადის განათების სამუშაოების შესყიდვაზე ერთ პირთან მოლაპარაკებით 2008 წლის 27 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება N664 შპს „გესკოსთან“ თანხით 1585,4 ათასი ლარი. საპროექტო (სახელშეკრულებო) ხარჯთაღრიცხვის მიხედვით განსაზღვრული იყო ერთი ერთეული სამართავი პულტის დამონტაჟება ღირებულებით 37653 ლარი, 57 ერთეული კონცენტრატორი - ერთეულის ღირებულებით 438,9 ლარი, 57 ერთეული კვების ბლოკი - ერთეულის ღირებულებით 388,1 ლარი, 57 ერთეული კონცენტრატორის და კვების ბლოკის კოლოფი - ერთეულის ღირებულებით 1143,58 ლარი. აღნიშნული ოთხი პოზიციის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებათა ჯამი შეადგენს 150,0 ათას ლარს. შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალის ფორმა N2-ის მიხედვით ზემოთჩამოთვლილი პოზიციების ღირებულებები მნიშვნელოვნადაა შემცირებული და შეადგინა: 2 ერთეული სამართავი პულტი ერთეულის ღირებულებით - 7530,6 ლარი, 114 ერთეული კონცენტრატორი - ერთეულის ღირებულებით 109,73 ლარი, 57 ერთეული კვების ბლოკი - ერთეულის ღირებულებით 202,75 ლარი, 57 ერთეული კონცენტრატორის და კვების ბლოკის კოლოფი - ერთეულის ღირებულებით 613,97 ლარი. აღნიშნული ოთხი პოზიციის მიხედვით ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ჯამი შეადგენს 74,1 ათას ლარს, ანუ სახარჯთაღრიცხვოსთან შედარებით 75,1 ათასი ლარით ნაკლებს. მიუხედავად ამისა მთლიანი ფაქტობრივი ღირებულება სახარჯთაღრიცხვოსთან შედარებით (1585,4 ათასი ლარი) შემცირებული არ არის და გათანაბრებულია სხვა პოზიციების ღირებულებათა გაზრდის გზით.

შერჩევით შემოწმებული იქნა ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში შპს „გესკოს“ მიერ წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოთა აქტში ჩამოთვლილი მასალების თვითღირებულების რეალობა. აუდიტის ჯგუფის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციის საშუალებით შპს „გესკოსგან“ მოთხოვნილი იქნა ინვოისები და საბაჟო დეკლარაციები. წარმოდგენილი ინვოისების მიხედვით გაირკვა, რომ დამონტაჟებული ლედური ტიპის სანათების ერთეულის ღირებულებამ შეადგინა 114,1 ევრო. წარმოდგენილი საბაჟო დეკლარაციის მიხედვით ლარებში შესაბამისი კურსით გადაანგარიშების და მოსაკრებლების დამატების შემდეგ 880 ცალი სანათის დღგ-ით დასაბეგრმა ბაზამ შეადგინა 240313,74 ლარი. ანუ ერთეულის თვითღირებულებამ დღგ-ს გარეშე შეადგინა დაახლოებით 273 ლარი (240313,74:880). ანალოგიური გაანგარიშებით დანარჩენი 480 ცალი სანათის ერთეულის თვითღირებულებამ დღგ-ს გარეშე შეადგინა დაახლოებით 250 ლარი (119922,29:480). წარმოდგენილი ფორმა N2-ის მიხედვით დამონტაჟებულია 1344 ერთეული ლედური ტიპის სანათი და ერთეულის ღირებულებად მითითებულია 770,4 ლარი დღგ-ს გარეშე. ანუ თითო სანათში შპს „გესკოს“ მიერ მიღებული შესაძლო მოგება მაქსიმალურ თვითღირებულებაზე გაანგარიშებით შეადგენს დაახლოებით 497 ლარს (770-273). სულ - დაახლოებით 668,0 ათას ლარს (1344*497). მაშინ, როდესაც ფორმა N2-ში მოგება ფორმალურად ჩადებულია 5%-ის ოდენობით (64,0 ათასი ლარი).

აღნიშნულ საკითხში ბოლომდე გარკვევა მოითხოვს დამატებით შესწავლას შპს „გესკოში“, რაც სცილდება აუდიტის ჯგუფის კომპეტენციას. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ სამინისტროს (შემსყიდველს) არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე არ გააჩნია იურიდიული ბერკეტები

წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების მიხედვით აკონტროლოს სამუშაოების და მომსახურების რეალური თვითღირებულება.

2009 წლის 4 თებერვალს სამინისტროსა და თურქულ კომპანია „NURUS A.S.“-ს შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N140 ავეჯის მოწოდებაზე თანხით 296,1 ათასი ევრო. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შემდეგ სახელშეკრულებო ღირებულება გაიზარდა 356,3 ათას ევრომდე, რომელიც ეტაპობრივად წინასწარ იქნა გადახდილი. მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარი გადახდის გარანტია (296,1 ათასი ევრო, მოქმედების ვადა 16.03.2009წ.) არ შეესაბამება არც წინასწარ გადახდილი თანხის ოდენობას და არც ფაქტობრივი მოწოდების ვადებს - 2009 წლის მაისი და ივნისი⁷.

ზოგიერთ შემთხვევებში ცენტრალური აპარატის მიერ გამოცხადებული ტენდერების სატენდერო დოკუმენტაციებში მითითებული იყო მოთხოვნა ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენის დაუშვებლობის შესახებ, რაც არსებული კანონმდებლობით დასაშვებია. აღნიშნული შეზღუდვის გამო ზოგიერთი პრეტენდენტი ალტერნატიული წინადადების წარმოდგენას აწარმოებდა ფორმალური კონკურენტი პრეტენდენტის საშუალებით. მაგალითად, 2008 წელს საბურავების შეძენაზე გამოცხადებულ ტენდერში ლოტში N1 შპს „თეგეტა მოტორსმა“ წარმოადგინა სატენდერო წინადადება 145,4 ათას ლარზე. შპს „სკან ჯორჯიამ“ იმავე ლოტში წარმოადგინა წინადადება 174,1 ათას ლარზე (უფრო მაღალი ხარისხის საბურავები). უპირატესობა მიენიჭა ხარისხს და გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „სკან ჯორჯია“. თუმცა წარმოდგენილი წარმოშობის სერტიფიკატების და შეძენის დოკუმენტების მიხედვით გაირკვა, რომ შპს „სკან ჯორჯიას“ საბურავები შეძენილი ჰქონდა კონკურენტისგან - შპს „თეგეტა მოტორსისგან“. აღნიშნული შემთხვევების გამორიცხვის მიზნით მიზანშეწონილი იქნება პრეტენდენტებს მიეცეს ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენის საშუალება, რითაც სახელმწიფო შესყიდვები გახდება უფრო გამჭვირვალე.

რეკომენდაციები

გაფორმებულ ხელშეკრულებებში საერთო ღირებულების გაზრდის მიზნით ცვლილებების შეტანა განხორციელდეს მხოლოდ „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მოთხოვნების დაცვით.

ხელშეკრულების საერთო ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მომწოდებლებისგან მოთხოვნილი იქნას ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა გაზრდილ სახელშეკრულებო თანხაზე.

ყურადღება მიექცეს წარმოდგენილი წინასწარი გადახდის გარანტიების ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობას.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვის საშუალების შერჩევისას გათვალისწინებული იქნას დაწესებული მონეტარული ზღვრები.

⁷ დებულების 26-ე მუხლის მე-18 პუნქტის მოთხოვნა.

ტენდერებით განხორციელებული შესყიდვების დროს შესასყიდი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით პრეტენდენტებს მიეცეთ ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენის საშუალება.

4. სახელმწიფო ქონების განკარგვის მდგომარეობა

2008 წლის განმავლობაში ცენტრალური აპარატის ბალანსზე რიცხული ქონების მოძრაობა ცხრილის სახით შემდეგნაირად გამოიყურება:

არაფინანსური აქტივების დასახელება	შენიშნა- ნაგებობები	სატრანს. საშუალებები	სხვა მანქ./დანად.	სხვა ძირითადი აქტივები	მატერიალ. მარაგები	არაწარ. აქტივები (მიწა)	სულ
ნაშთი 01.01.08წ.	12861,0	45389,0	19517,7	11330,0	21373,6	-	110471,3
მიღება	20504,1	53729,1	5856,2	82094,8	44456,7	1414,7	208055,6
მათ შორის:							
შესყიდვა	5845,5	37943,1	4493,4	81810,5	43735,0	-	173827,5
უსასყიდლოდ	7557,5	15533,8	577,8	-	539,2	1414,7	25623,0
სხვა ეკ. ნაკადებით	7101,1	252,2	785,0	284,3	182,5	-	8605,1
გასვლა	12004,1	61206,3	19230,1	10703,1	34339,1	823,2	138305,9
მათ შორის:							
გაყიდვა	-	31,4	-	-	-	-	31,4
უსასყიდლოდ	7962,0	56199,6	18199,0	6787,2	26428,1	822,7	116398,6
სხვა ეკ. ნაკადები	3533,6	-	86,6	3526,2	1032,1	0,5	8179,0
ჩამოწერა	133,1	553,3	163,6	-	-	-	850,0
ძირ.კაპ-ის მოხმარება	375,4	4422,0	780,9	389,7	-	-	5968,0
საქონლის და მომსახ. გამოყენება	-	-	-	-	6878,9	-	6878,9
ნაშთი 01.01.2009წ.	21361,1	37911,7	6143,8	82721,7	31491,2	591,5	180221,0

2008 წლის განმავლობაში ცენტრალურ აპარატს მეწარმეებისგან უსასყიდლოდ მიღებული აქვს სხვადასხვა სახის მატერიალური მარაგები. კერძოდ, შპს „ევრომარკეტისგან“ მიღებული აქვს 3,1 ათასი ლარის კვების პროდუქტები, ხოლო ი/მ „ზაზა დოლიძისგან“ მიღებულია 3,2 ათასი ლარის პირადი მოხმარების საგნები.

2009 წლის განმავლობაში ცენტრალური აპარატის ბალანსზე რიცხული ქონების მოძრაობა ცხრილის სახით შემდეგნაირად გამოიყურება:

არაფინანსური აქტივების დასახელება	შენიშნა- ნაგებობე ბი	სატრანს. საშუალო ბეზი	სხვა მანქ/დან ად.	სხვა ძირითად ი აქტივები	დაუმთ. მშენებლ ობა	სხვა დანარჩენ ი აქტივები	მატერია ლ. მარაგები	არაწარ. აქტივებ ი (მიწა)	სულ
ნაშთი 01.01.09წ.	21361,1	37911,6	6143,9	26,9	43440,0	39254,9	31491,2	591,5	180221,0
სულ მიღება	83650,7	167961,7	6461,9	602,8	36712,2	41920,9	86616,7	2453,6	426380,5
მათ შორის:									
შესყიდვა	2498,6	156459,2	5195,6	587,3	36712,2	40069,4	79526,9	-	321049,2
უსასყიდლოდ	782,7	10806,0	1203,8	-	-	32,0	1375,2	2453,6	16653,3
სხვა ეკ. ნაკადებით	80369,4	696,5	62,5	15,5	-	1819,5	5714,6	-	88678,0
სულ გასვლა	88199,1	198785,2	5755,3	576,5	80152,2	33957,0	40328,8	2373,4	450127,5
მათ შორის:									
გაყიდვა	-	430,2	-	-	-	-	-	-	430,2
უსასყიდლოდ	85550,6	196844,7	4700,2	576,5	-	32844,3	30240,7	2373,4	353130,3
სხვა ეკ. ნაკადები	2316,0	243,4	243,3	-	80152,2	721,1	1063,4	-	84739,4
ძირ.კაპ-ის მოხმარება	332,5	1267,0	811,8	-	-	391,6	-	-	2802,9
საქონ. და მომსახ. გამოყენება	-	-	-	-	-	-	9024,7	-	9024,7
ნაშთი 01.01.2010წ.	16812,7	7088,3	6850,4	53,2	-	47218,8	77779,1	671,7	156474,3

2009 წლის განმავლობაში ცენტრალურ აპარატს სხვადასხვა მეწარმეებისგან უსასყიდლოდ მიღებული აქვს 42,0 ათასი ლარის ინვენტარი და სათადარიგო ნაწილები.

აუდიტის პერიოდში ცენტრალური აპარატის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების და მატერიალური მარაგების სრული ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. ჩატარებულია ნაწილობრივი ინვენტარიზაციები. მაგალითად, შს მინისტრის 2008 წლის 14 ივლისის N786 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა კომისია სამეურნეო უზრუნველყოფისა და მატერიალური რესურსების მართვის სამმართველოს ტრანსპორტის განყოფილების ავტოფარების ტერიტორიაზე სათადარიგო ნაწილების საწყობის ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით. ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი იქნა მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი 21,8 ათასი ლარის ოდენობით და ზედმეტობა 0,2 ათასი ლარის ოდენობით.

შს მინისტრის 2008 წლის 21 აგვისტოს N916 და 26 აგვისტოს N097 ბრძანებებით შექმნილი 2008 წლის მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის დადგენის შემსწავლელი კომისიის მიერ განსაზღვრული იქნა როგორც მთლიანად სამინისტროს, ასევე ცენტრალური აპარატის ბალანსზე რიცხული დაკარგული და განადგურებული ძირითადი აქტივების და მატერიალური მარაგების ღირებულება. ზემოაღნიშნულის შედეგად საბალანსო ანგარიშზე N1422 (მოთხოვნები დანაკლისებით) ნაშთი 2008 წლის განმავლობაში გაიზარდა 227,1 ათასი ლარიდან 4542,3 ათას ლარამდე.

შს მინისტრის პირველი მოადგილის 2009 წლის 3 დეკემბრის N1468, N1469, N1470, N1471, N1472, N1473 ბრძანებებით მატერიალური რესურსების მართვის სამმართველოს სასაწყობო განყოფილების N1, N2, N3, N4, N5, N6 და N7 საწყობებში ჩატარდა არსებული მატერიალური მარაგებისა და ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციის შედეგად მეტობა ან ნაკლებობა არ გამოვლენილა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 6 აპრილის N475 ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ ჩატარებული შსს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ავტომოტოტრანსპორტის ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით (2009 წლის 1 აპრილის მდგომარეობით სააღრიცხვო მონაცემებთან შედარებით) დადგინდა, რომ დეპარტამენტს ბალანსზე ერიცხებოდა 976 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება. გამოვლინდა დანაკლისი 231 ერთეულის ოდენობით. მათ შორის უდიდესი ნაწილი წარმოადგენს ძველ, ამორტიზირებულ, ნულოვანი საბალანსო ღირებულების აქტივებს, მაგრამ გამოვლინდა ნარჩენი საბალანსო ღირებულების მქონე სატრანსპორტო საშუალებების დანაკლისიც (19 ერთეული, ჯამური ღირებულებით 125,9 ათასი ლარი) აღნიშნული დანაკლისების შესახებ ეცნობა შსს გენერალურ ინსპექციას. ინვენტარიზაციის შემდგომ პერიოდში ტრანსპორტის ექსპლუატაციის სამსახურის მიერ მოძიებული იქნა 11 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება (ყველა ნულოვანი საბალანსო ღირებულების).

5. წინა პერიოდის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაწეული საქმიანობა

შსს ცენტრალური აპარატის წინა შემოწმების საფუძველზე შედგენილი საქართველოს კონტროლის პალატის 2008 წლის 25 ივნისის N87/20 აქტში დაფიქსირებულია გარკვეული დარღვევა-ნაკლოვანებები. კერძოდ:

სამინისტროს მიერ 2006 წლის საბიუჯეტო განაცხადი საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი იყო ვადების დარღვევით; გადახდების განხორციელებისას დარღვეული იყო საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნები; წინასწარი გადახდების განხორციელებისას დაგვიანებით წარმოებდა დამოწმების დოკუმენტების წარდგენა სახაზინო სამსახურში; შესასრულებლად იყო მიღებული მომწოდებლების მიერ დარღვევებით შევსებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები; დაგვიანებით ხდებოდა ჰუმანიტარული დახმარების სახით მიღებული მატერიალური ფასეულობების შემოსავალში აღება; დარღვეული იყო საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულებით დამტკიცებული „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის“ მე-19 მუხლის მოთხოვნა; რიგ შემთხვევებში სალაროდან გაცემული ხელფასის უწყისები არ იყო დანომრილი; ადგილი ჰქონდა მემორიალურ ორდერებში არასწორ ბუღალტრულ გატარებებს; დარღვეული იყო სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნები და სხვა.

მიმდინარე აუდიტის დროს გაირკვა, რომ წინა შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები ძირითადად აღმოფხვრილია. თუმცა

მეორდება ზოგიერთი სახის დარღვევა. კერძოდ, ერთ შემთხვევაში წინასწარი გადახდის განხორციელებისას დაგვიანებით იქნა წარდგენილი დამოწმების დოკუმენტი სახაზინო სამსახურში. 2009 წელს სხვა მანქანა დანადგარების და ინვენტარის შეძენაზე წინასწარი გადახდის დამოწმება (ვალდებულება N0068, მოთხოვნა N131, 2071,5 ათასი ლარი) განხორციელდა 2009 წლის 22 მაისს, ნაცვლად 20 მაისისა.

აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი:


აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში აქტის ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში.

აუდიტის ჯგუფის ხელმოწერები:


ჯგუფის ხელმძღვანელი,
საქართველოს კონტროლის პალატის
უფროსი აუდიტორი
გია ნადარეიშვილი

 27.12.106.
ხელმოწერა თარიღი

აუდიტორი
ნესტან ჯანელიძე

 27.12.106
ხელმოწერა თარიღი

აუდიტორი
თენგიზ გურასაშვილი

 27.12.20106
ხელმოწერა თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი
მაია მუჯირიშვილი

 27.12.20106
ხელმოწერა თარიღი